

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №4(66) 2014 წ. 16-28 თებერვალი ფასი 50 თეთრი

მილოცვა

დაბადების დღეს ულოცავთ საგარეო მუნიციპალიტეტის გამგებელს **ბიორბი ლოლაშვილს**. უსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიხარულსა და წარმატებებს პირად ცხოვრებაში. გვფარავდეთ უფალი!
*საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულო
საგარეო მუნიციპალიტეტის გამგებელი
გაზეთი „მურმის მაცნე“
რედაქცია*



მართლმადიდებელი რწმუნებულები გახდნენ საგარეო მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთის მფლობელები

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა 2012 წლის 21 დეკემბრის სინოდის სხდომაზე არქიმანდრიტი გაბრიელი (ურგებაძე) წმინდანად შერაცხა. მას ღირსი მამა გაბრიელ აღმსარებელი და სალოსი უწოდა. მისი ხსენების დღედ გარდაცვალების დღე – 2 თებერვალი დაწესდა.
22 თებერვალს მცხეთაში, სამთავროს ფერისცვალების მონასტრის ეზოში წმინდა მამა გაბრიელის საფლავი გაიხსნა. მამა გაბრიელი ავადმყოფთა, გაჭირვებულთა, ცხოვრებაში გზაბნეულთა დიდი მეოხი და მფარველი რომაა, ამაზე არაერთხელ დაწერილა და დაბეჭდილია. ამიტომაც იყო, მის საფლავთან ასეულობით ათასმა მართლმადიდებელმა რომ მოიყარა თავი.
მცხეთის ქუჩები სავსე იყო ხალხით, რომლებიც ანთებული სანთლებით შეხვდნენ საქართველოს მეოხი წმიდანის ნეშტს. წმინდა ღირსი მამა გაბრიელის წმიდა ნაწილებიანი ხის ღუსკუმა სვეტიცხოველში უფლის კვართის ახლოს, შუა ტაძარში დაასვენეს. უამრავმა ადამიანმა მოილოცა ღირსი მამის ხის ღუსკუმასთან. მოდიოდნენ ისინი, ვინც სიცოცხლეში იცნობდნენ და ვისაც გარდაცვალების შემდეგ შეეწია.
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ღირსი გაბრიელის წმინდა ნაწილებისათვის მირონის პკურებისას თქვა: „მამა გაბრიელის ღირსი კურთხევით ღმერთმა მომადლოს საქართველოს მშვიდობა და კეთილდღეობა“.
ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის მეფევე სერაფიმეს (ჯოჯუა) განმარტებით, საფლავის გახსნა უდიდესი ქრისტიანული ტრადიციაა, წმინდანთა ნაწილების აღმოყვანება ადამიანს რწმუნაში აძლიერებს. 200-300 წელია, საქართველოში ერთდროულად სამი საფლავი არ გაუხსნიათ. მამა გაბრიელის საფლავის გახსნამდე ბეთანიელი წმიდა ბერების გიორგისა და იოანეს საფლავები გაიხსნა.
მართლმადიდებელი ეკლესიის ტრადიციამ შემოგვინახა უამრავი სასწაულებრივი ფაქტი, რომლებიც სწორედ წმიდანთა წმინდა ნაწილების მოპოვებას უკავშირდება, რაც არის კიდევ ღვთიური დასტური ღვთის ამ სათნოყოფელის სიწმიდისა.

საგარეო მუნიციპალიტეტის გამგეობა

თათბირი

18 თებერვალი, 2014 წელი

საგარეო მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურის ტრადიციულ თათბირს გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ბიორბი მარტიაშვილი უძღვებოდა. თათბირზე სოფლებში არსებულ პრობლემებზე ისაუბრეს სოფლების რწმუნებულებმა. როგორც ხაშვის რწმუნებულმა ზურაბ ყირმელაშვილმა თქვა, ხაშვის მოსახლეობას სასმელი წყლით ორი წყალშემკრები ამარაგებს. მათგან ერთი 1953 წელსაა გაკეთებული, მეორე კი გასული საუკუნის 80-იან წლებში. ამდენად, ორივე წყალშემკრები მოითხოვს სერიოზულ სარესტავრაციო სამუშაოებს. სწორედ ამიტომაცაა წყალი ხშირ შემთხვევაში აძვრული, რის გამოც სასმელი წყალი ტექნიკურ წყლადაც არ გამოდგება. ასეთივე თიხიანი წყალი მოედინება უჯარმის მოსახლეობის სასმელი წყლის ონკანებშიც, რადგან ხაშვის მოსახლეობას სასმელი წყალი სწორედ ამავე წყალშემკრებიდან მიეწოდება.
ყინვებისგან პრობლემები შეიქმნა სასმელი წყლის ქსელებზე სოფლებში ბაღაურში, ვერონაში, სადაც თითქმის 1 კილომეტრზე დაზიანდა სასმელი წყლის მიწები. ასევე, 500 მეტრი სიგრძის მილია დაზიანებული მანავში ე.წ. „გორხანის“ დასახლებაში.



პალიტეტებში განხორციელებას. როგორც თინათინ ონაშვილმა აღნიშნა: – ქვეყანაში შეიქმნა სოფლის კოოპერატივების სააგენტო, სწორედ ამ სააგენტომ უნდა დაარეგისტროს სოფლის კოოპერატივი. დარეგისტრირების შემდეგ ჩვენ შეგვიძლია სოფლის კოოპერატივს გარკვეული დახმარება გაუწიოთ – ტრენინგებისა თუ ფულადი დაფინანსებით. კონკრეტულად, სოფლის კოოპერატივს ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაცია გრანტის სახით 15 ათას ევროს აძლევს. პროექტი 48 თვის განმავლობაში ხორციელდება. აღნიშნულ გრანტს, რომელიც ევროკავშირის მიერ გამოყოფილი თანხიდანაა, მცირემიწიანი ფერმერები მიზანმიმართულად გამოიყენებენ სოფლის კოოპერატივის გასაძლიერებლად. მისი საქმიანობის გასაფართოვებლად.
არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა უპასუხეს თათბირის მონაწილეობაზე დასმულ შეკითხვებს.

25 თებერვალი, 2014 წელი

თათბირს მუნიციპალიტეტის გამგებელი ბიორბი ლოლაშვილი უძღვებოდა. მან დაწვრილებით გამოიკითხა მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული მდგომარეობა. დაინტერესდა სასოფლო-სამეურნეო ბარათების გაცემის მიმდინარეობით, ასევე, სოფლის მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების საკითხით, სოფლებში მიმდინარე გაზიფიცირებასთან დაკავშირებული სამუშაოებით.
თათბირზე საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციის „მერსი ქორფის“ პროექტ „ფერმერთა კოოპერატივების გაძლიერება საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მუნიციპალიტეტებში“ წარმომადგენელმა, სოფლის მეურნეობის კოორდინატორმა თინათინ ონაშვილმა და ინვესტიციების კოორდინატორმა ირაკლი ხეროდინაშვილმა თათბირის მონაწილეთა ღრმად და საფუძვლიანად განუმარტეს სოფლის კოოპერატივების შექმნის მიზანი, ამოცანები და დაწვრილებით გააცნეს ის პროექტი, რომელსაც „მერსი ქორფის“ აპირებს ჩვენი ქვეყნის მიუღწევი რეგიონებისა და მუნიცი-



„სოფლის პროგრამისთვის“ მზადება დაიწყო



ის პროგრამას“ შეეხებოდა. სამინისტროს წარმომადგენლებმა პროექტის ირგვლივ ისაუბრეს, რის შემდეგაც რწმუნებულების მხრიდან დასმულ შეკითხვებს ამომწურავად უპასუხეს.
„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ არის საქართველოს ხელისუფლების ინიციატივა, რომლის მიზანია, სოფლის პირველი რიგის პრობლემის გადაწყვეტა, მოკვლავაქეთა ჩართულობით.
პირველ ეტაპზე სოფლის რწმუნებულნი საკრებულოს წევრთან ერთად წაატარებენ სოფლის კრებას, სადაც გამოკითხული იქნება მოსახლეობის აზრი, სოფლისთვის გამოყოფილი თანხის მიზნობრივად გასახარჯად.
მანამდე კი საგარეო მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკურმა სამსახურმა შეადგინა სოფლებში ჩასატარებელი კრებების გრაფიკი. მოსახლეობასთან შეხვედრები 26 თებერვალს დაიწყო სოფ. გომბორიდან და სოფ. შიბლიანით დასრულდა.

20 თებერვალს საგარეო მუნიციპალიტეტის გამგეობაში, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს ბესიკ მარტიაშვილსა და სოფლის რწმუნებულებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლები შეხვდნენ. შეხვერა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამისთვის“ მზადება დაიწყო.

ოკუპაციის მსხვერპლთა კაზინოსეპეა

25 თებერვალს საგარეო მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბიორბი ლოლაშვილმა, გამგეობის თანამშრომლებმა და სოფლის რწმუნებულებმა ოკუპაციის მსხვერპლთა პატივსაცემად, გამგეობის შენობასთან სახელმწიფო დროშები დაუშვეს და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მათ ხსოვნას.
ლია კობტაშვილი, საგარეო მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი



სოფლის მეურნეობა

მსირაქიანიან ფარქეთა ხელშეწყობისათვის

სოფლის მეურნეობა

შეხვედრა მიმდინარე სიახლეებზე

საგარეო ურთიერთობების მინისტროს საგარეო ურთიერთობების მინისტრის განცხადებით...

საგარეო ურთიერთობების მინისტროს განცხადებით, საგარეო ურთიერთობების მინისტრის განცხადებით...

საგარეო ურთიერთობების მინისტროს განცხადებით, საგარეო ურთიერთობების მინისტრის განცხადებით...



საგარეო ურთიერთობების მინისტროს განცხადებით, საგარეო ურთიერთობების მინისტრის განცხადებით...

საგარეო ურთიერთობების მინისტროს განცხადებით, საგარეო ურთიერთობების მინისტრის განცხადებით...

საგარეო ურთიერთობების მინისტროს განცხადებით, საგარეო ურთიერთობების მინისტრის განცხადებით...

საგარეო ურთიერთობების მინისტროს განცხადებით, საგარეო ურთიერთობების მინისტრის განცხადებით...

საგარეო ურთიერთობების მინისტროს განცხადებით, საგარეო ურთიერთობების მინისტრის განცხადებით...

სსოფლო-სამეურნეო ბარათები დარიცხვა, მიმდინარეობს მინების დათმობა

სსოფლო-სამეურნეო ბარათების დარიცხვის მიმდინარეობის შესახებ...

სსოფლო-სამეურნეო ბარათების დარიცხვის მიმდინარეობის შესახებ...

სსოფლო-სამეურნეო ბარათების დარიცხვის მიმდინარეობის შესახებ...



სსოფლო-სამეურნეო ბარათების დარიცხვის მიმდინარეობის შესახებ...

სსოფლო-სამეურნეო ბარათების დარიცხვის მიმდინარეობის შესახებ...

სსოფლო-სამეურნეო ბარათების დარიცხვის მიმდინარეობის შესახებ...

სსოფლო-სამეურნეო ბარათების დარიცხვის მიმდინარეობის შესახებ...

სსოფლო-სამეურნეო ბარათების დარიცხვის მიმდინარეობის შესახებ...

ინფრასტრუქტურა

სოფლის სიკეთისათვის

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა გრძელდება

სოფლის სიკეთისათვის მხარდაჭერის პროგრამის შესახებ...

- ასკილაური - 5623 ლარი
უჯარმა - 18204 ლარი
პაღლი - 4733 ლარი
მუხრანის - 4877 ლარი
კოჭბანი - 5707 ლარი
ოთარანთ კარი - 4433 ლარი
სასაღილო - 5358 ლარი
გორანა - 5334 ლარი
იკელიე გორანა - 4505 ლარი
ხაშვი - 32432 ლარი
პატარძელი - 49450 ლარი
ნინოწმინდა - 40845 ლარი
წყაროსთავი - 20019 ლარი
გიორგიწმინდა - 45279 ლარი
ანთოკი - 5226 ლარი
მარიაძვეარი - 4733 ლარი
თოხლიაური - 26494 ლარი
სათაფლე - 5562
მანავი - 52 070
ზემო ბურღიანი - 4517
დიდი ჩაილური - 25509

- პატარა ჩაილური - 25857
კაკაბეთი - 51120
ვერხვიანი - 14610
ზემო ყანდაურა - 4493
ქვემო ყანდაურა - 27336
ბაღიაური - 30989
მხისგული - 17098
შიბლიანი - 15680
იორმუდანილო - 42383
ქეშალო - 59185
დუზაგრა - 26374
პაღლი - 25773
წიწმინდანი - 26026
ზემო ლამბალო - 64293
ქვემო ლამბალო - 65963
თულარი - 62478
კაზლარი - 32372
უდაბნო - 18024



სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შესახებ...

წარმატებული სკოლა სადაც მუშაობა შეიქმნა და სინდროსი

საბარეჯო IV საჯარო სკოლა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შორის ერთ-ერთ წარმატებულ სკოლად დასახელდა. მას დასახელებული წარმატებები აქვს, რომელშიც თითოეული პედაგოგის, დირექტორის დიდი ღვაწლია ჩაღებული. დღეს მხოლოდ სკოლის პედაგოგთა ერთი ნაწილის მუშაობას და წარმატებულ მონაწილეთა ბაზანდობით



საბარეჯო IV საჯარო სკოლაში მიმდინარე სასწავლო წელს 488 მოსწავლეს 52 პედაგოგი ემსახურება. მათგან 49 მაგისტრია, 3 ბაკალავრი, 12 პედაგოგი სერტიფიცირებულია. მათ შორის ერთი საუკეთესო მასწავლებლის წოდებითაა, რომელსაც ხელფასზე 1000 ლარიანი დანამატი აქვს. ასევე, ჩვენი სკოლის 5 პედაგოგს ჩაბარებული აქვს უცხო ენისა და ინფორმატიკის გამოცდები, რომელთაც ხელფასზე დანამატი 200 ლარი აქვთ, - ასე დაიწყო საუბარი სკოლის დირექტორმა **ნელი ბალახაშვილი**. - ჩვენი სკოლის პედაგოგები აქტიურად არიან ჩართული „მასწავლებლის სახლის“ საქმიანობაში. მასწავლებლებთან პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში „ეროვნული კონფერენცია“ ჩვენმა მასწავლებლებმა 8 გაკვეთილი გავაჩვენეს განსახილველად და ამ 8 გაკვეთილის მომზადებაში 11 მასწავლებელი მონაწილეობდა, რადგან რამდენიმე გაკვეთილი ინტეგრირებული იყო. აღსანიშნავია ის, რომ ჩვენი რეკონსტრუქციის მხარე ერთი გაკვეთილი უნდა შერწყულიყო საუკეთესოთა საუკეთესოში და სიამაყით მიხდა გითხრათ, რომ ეს გაკვეთილი ჩვენი სკოლის გეოგრაფიის მასწავლებლის - მარადი ქურდოვანიძის „პერე“ - საოცრებოა ქვეყანა აღმოჩნდა. აღნიშნული კონკურსი ოქტომბერში გამოცხადდა, ხოლო დეკემბერში მარადი ქურდოვანიძემ ჩაქვში დასკვნით ეროვნულ კონფერენციაზე გააკეთა აღნიშნული თემის პრეზენტაცია.

„მასწავლებლის სახლის“ საქმიანობა ჩვენი სკოლის 10 პედაგოგია ჩართული. მათგან 6 მასწავლებელი: ქეთევან ქვლივიძე, მარადი ქურდოვანიძე, ნინო ხაბაზიშვილი, ნინო ლეთისაურიშვილი, ხათუნა ქვლივიძე, ლია ზირაქაშვილი გასულ სასწავლო წელს ჩაერთვნენ, მათი მუშაობა 2013 წლის აპრილში შეიწყობა და დადებითად შეფასდა, შემდგომ კი მათ 4 პედაგოგი - მაია კუჭუაშვილი, მანანა გილაშვილი, ანა კვეციანიშვილი, ლიანა ასრათაშვილი მიმდინარე სასწავლო წელს შეუერთდნენ.

განათლების სამინისტროსა და „მასწავლებლის სახლის“ ერთობლივი ტრენინგები - „სკოლის ბაზაზე მასწავლებლებთან პროფესიული განვითარება“ პედაგოგებს მართლაც რომ დიდ პრაქტიკულ გამოცდილებას აძლევს. ამ კუთხით ჩვენი სკოლის 7 პედაგოგი გაერთიანდა ჯგუფში „შეიდეკას“, რომელიც მართლაც რომ ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა. ესენი არიან: ქეთევან ქვლივიძე, ქურდოვანიძე, ნინო ხაბაზიშვილი, მარია შიოშვილი, ნია მელაშვილი, რომლებიც გასული წლის მაისიდან ჩაერთვნენ განათლების სამინისტროს და მასწავლებლის სახლის კონფერენციაში და აქ ქეთევან ქვლივიძემ წარადგინა სკოლის „შეიდეკას“ წევნიერების დონის კვლევის პრეზენტაცია.

„შეიდეკას“ მაისიდან დაიწყო სკოლაში პირველადი კვლევები, შეამოწმეს სკოლაში წევნიერების დონე, მოსწავლეთა წერის კულტურა, საერთო მდგომარეობა, შეადგინეს და პასუხი გასცეს უამრავ შეკითხვას. აქ იყო შეკითხვები დასმული როგორც მოსწავლეების, ისე მათი მშობლების, პედაგოგების მისამართით - რა საჭიროებები იყო თითოეული პედაგოგისათვის, მოსწავლისათვის, მშობლისათვის. კვლევებში მუშაობის პერიოდში ისინი შესაბამის კონსულტაციებს იღებდნენ აღნიშნული პროექტის ხელმძღვანელებიდან. ამ პროექტის განხორციელებაში აქტიურად ჩაება თითოეული პედაგოგი, მოსწავლე, სკოლის ბიბლიოთეკა, რამაც „შეიდეკას“ გაუადვილა უამრავი მასალის მოპოვება და დამუშავება. სერიოზულმა მუშაობამ ნაყოფიც კარგი გამოიღო, მუნიციპალიტეტიდან სწორედ ჩვენმა „შეიდე-

კაცამ“ გაიმარჯვა. სკოლის „შეიდეკას“ მიმდინარე წელს დაგეგმილი აქვს ღია გაკვეთილების ჩატარება, ამ გაკვეთილების გაანალიზება, გამოცდილების გაზიარება.

უფრო კონკრეტულად კი ამ საკითხზე „შეიდეკას“ ხელმძღვანელი **ქეთევან ქვლივიძე** ისაუბრებს:

- პროექტმა 2013 წლის დასაწყისში საქართველოს 210 სკოლაში დაიწყო მოქმედება. ჩვენი სკოლის „შეიდეკას“ შემდგომლობაში არიან: ლაურა კვეციანიძე, ქეთევან ქვლივიძე, მარადი ქურდოვანიძე, ანა კვეციანიშვილი, მარია შიოშვილი, ნია მელაშვილი, ნინო ხაბაზიშვილი. იმავე წლის გაზაფხულზე გავიარეთ 60 საათიანი მიმოხილვითი ტრენინგი და ამის შემდეგ ადგილებზე დავიწყოთ საქმიანობა.

ჩვენი მიზანი იყო:
- მასწავლებლებთან პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- ღია და სამოძღვლო გაკვეთილების ჩატარება;
- კვლევებთან თანამშრომლობითი კულტურის განვითარება;
- ტრენინგ-სემინარებზე მიღებული ცოდნის დამუშავება და კვლევებისთვის გაცნობა;

სამუშაო ჯგუფმა გავაკეთეთ სკოლის სვოტ-ანალიზი, რათა გამოგვეჩვენათ წარმატებული სკოლის ინდიკატორები, ჯერ კათედრებში, შემდეგ საერთო სასკოლო სვოტ-ანალიზმა გამოგვჩვენა სკოლის პრობლემები, რომლებიც დავალაგეთ პრიორიტეტებად და ჩვენი მუშაობაც ამ მიმართულებით განვითარდა. კერძოდ, როგორც მუშაობის შეფასების სისტემა დაწესებით კლასებში, სადაც არ არის შეფასების ათბალიანი სისტემა. ეს სამუშაო ძირითადად მარია შიოშვილის მიერ იქნა შესრულებული. მეორე-მეოთხე კლასების მასწავლებლებთან კომენტარებისა და განმარტებითი კომენტარების კვლევა შემდეგი კრიტერიუმებით განხორციელდა:

- რამდენად იყენებს სტანდარტს კომენტარის წერის დროს,
- რამდენად დაცულია სტანდარტის მოთხოვნის ენა,
- კომენტარის კონკრეტობა,
- გაკეთდა რეკომენდაცია: მასწავლებლებმა კიდევ ერთხელ გადაამუშავეთ ეროვნული სასწავლო გეგმა, კლასის, საგნის სტანდარტი და წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები ინდიკატორების გათვალისწინებით შეიმუშავეთ კრიტერიუმები, რას უნდა აკმაყოფილებდეს, რას უნდა მიღწეოს სასწავლო წლის ბოლოს.

კვლევაში გამოკვეთა ხარვეზები, რის საფუძველზეც ჯგუფმა მოითხოვა შესაბამისი პროფესიული ტრენინგი აღნიშნულ თემაზე.

გავიარეთ საგნობრივი ტრენინგები, რაც მაინცდამაინც დიდი სახელის მომცემი არ ყოფილა ჯგუფისათვის საგნების მიხედვით.

სკოლაში განვხორციელეთ მასწავლებლებთან საჭიროებების დადგენაზე ორიენტირებული რამდენიმე კვლევა კითხვარების საშუალებით:
- პედაგოგის თვითშეფასების კითხვარი,
- კვლევებს შორის თანამშრომლობისა და ურთიერთსწავლების კვლევა (ანონიმური კითხვარი).

- პედაგოგთა საჭიროებაზე ორიენტირებული კვლევა (ღია).



„შეიდეკას“ წევრები ქეთევან ქვლივიძე და მარადი ქურდოვანიძე



საჯარო სკოლის მენეჯერი ნელი ბალახაშვილი

მასწავლებლებთან ნაწილი საკმაოდ არაპროფესიულად მიუდგა ამ დავალებას და მიღებული ინფორმაციაც ზოგადი ან ნაწილობრივი აღმოჩნდა. კითხვარებით მიღებული შედეგებით ჩვენ მასწავლებლებთან პროფესიული განვითარების საჭიროებების დაკმაყოფილებას შევეცდებით.

განახორციელეთ კვლევა: „წევნიერების დონის კვლევა დაწესებითი საფეხურის მოსწავლეებში (II-VI კლასები). აღნიშნული კვლევა წარდგინდა იყო მასწავლებლებთან ეროვნულ კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა ბახალეთში 30 ნოემბერსა და 2 დეკემბერს. კვლევაში მონაწილეობდა 11 მასწავლებელი და სანუქრად მივიღეთ ძვირფასი წიგნები: ძველი მსოფლიოს ისტორიის ენციკლოპედია, მეცნიერების ენციკლოპედია, ხელოვნების მცირე ენციკლოპედია, სიცოცხლის ენციკლოპედია.

საინტერესო იყო საინიციატივო ჯგუფის კვლევა პროექტზე - „წევნიერების დონის კვლევა დაწესებითი საფეხურზე“ და რატომ: სკოლის საჭიროებების კვლევის შედეგად



„შეიდეკას“ წევრი ნინო ხაბაზიშვილი

არსებულ პრობლემათაგან ყველაზე მნიშვნელოვანად ჩავთვალეთ წევნიერება, რადგან მრავალწლიანი პრაქტიკა გვიჩვენებდა, რომ მეოთხე კლასიდან მეხუთე კლასში გადასული მოსწავლეები წინა კლასებში შეძენილ უნარებს ვერ იყენებდნენ საჭიროებისამებრ, კერძოდ, ვგულისხმობთ კითხვის ტექნიკას, მითითებულ უნარებსა და წაკითხვის გააზრებას.

ჯგუფის წინაშე დაიბადა იდეა, რომ ჩაგვეტარებინა წევნიერების კვლევა II-VI კლასებში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოვისმინეთ კონსულტაციები, აქვე გამოვიყენეთ პროფესიული განვითარების ტრენინგებზე მიღებული ცოდნა და შევიმუშავეთ გეგმა. ამ პროცესში ჩაერთო დაწესებითი სწავლებისა და ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრები.

კვლევის პროცესი მოიცავდა როგორც თვითშეფასებას (დაკვირვება, ფოკუს-ჯგუფები), ასევე რაოდენობრივ (მასობრივი, ზეპირი და წერილობითი გამოკითხვა) მეთოდებს. მიგვაჩნია, რომ ამ მეთოდების ერთობლივი გამოყენებით მოსალო-

განათლების რეფორმა და სკოლა

ნელი იქნებოდა საკვლევი მასალის სიდრემისეული შესწავლა და შედეგების რაოდენობრივი გაზომვა.

- კვლევა მიმდინარეობდა ორ ეტაპად:
- 1) კითხვის ტექნიკა
 - 2) გააზრებული კითხვა
- კვლევაში მონაწილეობას იღებდა საინიციატივო ჯგუფის 7 წევრი, დაწყებითი კლასისა (II-IV) და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები.

მოქმედების არეალი იყო II-VI კლასები. კვლევაში მონაწილე ორივე კათედრა მზად აღმოჩნდა ჩვენთან თანამშრომლობისათვის. კვლევის პროცესი ეტაპებად დაიყო: I ეტაპი - ტექნიკური კითხვა შეიქმნა II-VI კლასები II-IV კლასებში გამოყენებული კრიტერიუმები:

1. I წუთში სიტყვათა რაოდენობა,
 2. ჩერდება სასვენი ნიშნებთან,
 3. კითხულობს შესაბამისი ინტონაციით.
- V-VI კლასში გამოყენებული კრიტერიუმები:
1. კითხულობს გამართულად,
 2. ჩერდება სასვენი ნიშნებთან,
 3. კითხულობს შესაბამისი ინტონაციით.
- II ეტაპზე გამოვიყენეთ, რამდენად აქვთ მოსწავლეებს გააზრებული ტექსტი:
- ა) ზედაპირულად,
 - ბ) სიღრმისეულად.
- ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ დაინტერესა არა მარტო მასში მონაწილე მასწავლებლები, არამედ თითქმის ყველა საგნის პედაგოგი, მშობლები, რომელთა ხელშეწყობა აუცილებელია სამომავლო პრობლემის მოსაგვარებლად.

ჩვენი რეკომენდაციები პედაგოგებისათვის შემდეგია:

1. გაკვეთილების დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კითხვის სტრატეგიების სწავლებასა და გამოყენებას.
2. კვლევის შემდგომ ეტაპზე გავიგოთ მოსწავლეთა ინტერესები, რა სახის ლიტერატურას კითხულობენ ხალისით, ინტერესით. აქტიურად შეუერთდეთ შესაბამისი ლიტერატურა.
3. სკოლის ყველა რგოლი (დირექცია, კათედრები, ბიბლიოთეკა, მშობლები) ჩაერთოს პრობლემის მოგვარებაში.

კვლევა მნიშვნელოვანია მასწავლებლებთან პროფესიული განვითარების ჯგუფის შემდეგი მუშაობისთვის, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და, თავისთავად, წევნიერების დონის ამაღლებისთვის. იმედი გვაქვს, ჩვენი გაწეული მუშაობა წლის ბოლოს სათანადო შედეგს გამოიღებს, მოსწავლეებში გაჩნდება წიგნის კითხვის ინტერესი.

პრობლემა დაძლეულია, რადგან კვლევაში მასწავლებლებთან ერთად ჩართო დირექცია, ბიბლიოთეკარი, მშობლები. ერთობლივი მუშაობით კი მეტ-ნაკლებად მოგვარდება პრობლემა.

პრობლემა მეტად აქტუალურია არა მარტო ჩვენი სკოლისთვის, არამედ საქართველოს ყველა სასწავლებლისთვის. წევნიერების დონის ამაღლება ხელს შეუწყობს მოსწავლეებს ყველა საგნის უკეთ გააზრებასა და დაუფლებაში.

ჯგუფმა კონსულტანტთან - მეგი შაკვაციანიშვილთან ერთად შევაჯამეთ გაწეული სამუშაო და გაავრცეთ მეორე სემესტრში განსახორციელებელი პროექტები.

წარმატებული მოსწავლეები: „მუღამ წარმატებულისკენ“

IV სკოლის ერთ-ერთი წარმატებული მოსწავლეა **ანო ლალიაშვილი**, რომელიც ახლა თავის წარმატებებსა და მიზნებს გვესაუბრება.

ანის უფროსმა და-ძმამ - სალომემ და გიორგიმ ორიოდე წლის წინ წარმატებით დაამთავრეს მეოთხე საჯარო სკოლა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმატებული სტუდენტები არიან - ისინი მშობლების - დათო ლალიაშვილისა და ნანა კურდღელიაშვილის კვალს გააყენეს - ეუფლებიან ექიმის საპასუხისმგებლო პროფესიას.

ანი კი ჯერჯერობით მეათე კლასის მოსწავლეა:
- ბავშვობიდან ვიცნებობდი იმაზე რომ მეგობრო წარმატების გემო, თუმცა ეს არ იყო უბრალოდ ოცნება, მე ყველაფერს ვა-

წარმატებული სკოლა სადაც მუშაობა შეიძლება და სინგერისო

დასასრული



„შეიქცას“ წევრი მარიამა შიოშვილი

სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე გავიტანე თემა „ფერები ჩვენს ირგვლივ“ და ავიღე I-ლი ხარისხის დიპლომი, უკვე 4 ეროვნულ-სასწავლო ოლიმპიადაში მივიღე მონაწილეობა, აქედან ინგლისურ ენაში დავიკავე მე-4 ადგილი, ხოლო გეოგრაფიაში შევედი ასეულში. სწორედ ამ ოლიმპიადებშიდან აღმოჩენილი ბაქსულის საზოგადოებრივი ბანაკში, წევრთა შორის, რომელიმე მათგანთან ერთად ვარმატებული მოსწავლეები წარმოვადგინე. იქ გავატარე 3 ძალიან აქტიური და სინგერისო კვირა და სწორედ ამ ბანაკს უნდა ვუმაღლოდ, რომ უფრო მეტი სტიმული მომეცა მეკეთებინა მაქსიმალურად ბევრი. ბანაკიდან ჩამოსვლიდან ერთი კვირის შემდეგ, სამოტივაციო წერილის საფუძველზე მიმიწვიეს საერთაშორისო ბანაკში ლიდერობაზე, რუსთაველაში, რომელშიც აქტიური მოსწავლეები მთელი ვეროპიდან მონაწილეობდნენ და მე კი 4 ქართველ ახალგაზრდას შორის მოვხვდი. ამის შემდეგ გავიარე ტრენინგები დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ასევე სექტემბრის



ანი თომას ჰამერბერგთან

ბოლოს სკოლიდან გამაგზავნეს ტრენინგ-კურსზე მოსწავლეთა თვითმმართველობის სტრატეგია და ფუნქციების შესახებ, სადაც ძალიან საინტერესოდ გვიოცნებებდნენ ლექციებს საქართველოს მოსწავლეთა გაერთიანების დამფუძნებლები, გუბაზ კობერიძე და სულხან ჩარგვიშვილი. ამის შემდეგ უკვე აქტიურად ჩავეერთე ჩვენი სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობაში და ტრენინგებიც ჩავატარე როგორც სკოლაში, ისე, საგარეჯოს მოსწავლეთა საზოგადოებრივი სახლის ორგანიზებით, მთელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბავშვებისთვის. სექტემბერშივე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გადამოქმედა პერსონალური კომპიუტერი საბაზო საფეხურის სრულ ათებზე დასრულებებისთვის. ოქტომბერში ამირჩიეს სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის საპატიო წევრად და უკვე მრავალი საინტერესო პროექტი განვახორციელე სხვა დელეგატებთან ერთად. წელსვე დავეინიშნე ჩვენი სკოლის სამოქალაქო კლუბ „ავანგარდის“ თავმჯდომარედ, მონაწილეობა მივიღე თელავში ორგანიზებულ ახალგაზრდულ ფორუმში და ძალიან აქტიურად ვმუშაობ სამოქალაქო კლუბის ბავშვებთან ერთად ახალ პროექტებზე. ნოემბერში არჩეული ვიყავი საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტის მოდელირებაში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტში, სადაც დიდი გამოცდილება მივიღე და საუკეთესო დელეგატებისთვის დავსაჩუქრდი კიდევ ასევე, ამერიკული საბჭოების მიერ ორგანიზებულ ინგლისურ ენაზე კითხვისა და ანალიტიკური აზროვნების კონკურსში ავიღე მე-4 ადგილი. დეკემბერში მონაწილეობა მივიღე ლექციაში ლიდერობის შესახებ, რომელსაც „ქორთიარდ მარიოტში“ ატარებდა ვარსკვლავის ლიდერობის სკოლა. აქტიურად ვარ ჩართული საგარეჯოს მოსწავლეთა საზოგადოებრივი სახლის თინეიჯერ ლიდერთა კლუბის საქმიანობაში, გავიმარჯვე ახალგაზრდა ლიდერთა ლიგის მიერ ორგანიზებულ სტუდენტების კონკურსში თემაზე „არა-ოკუპაცია“. ამჟამად კი მოხალისედ ვმუშაობ ერთ-ერთი „ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი - XXI“-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში და ვარ შავი ზღვის რეგიონული ახალგაზრდუ-



ანი განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან

ლი ცენტრის დაარსების იდეის კოორდინატორი საგარეჯოში. რაც შეეხება ეროვნულ-სასწავლო ოლიმპიადას, აქ წელს პირველ ტურში გავვედი 6 საგანში, მე-2 ტურში გადავედი 5 საგანში ხოლო ასეულში შევედი ინგლისურ ენის(60-დან 59 ქულით) და ქართული ენის(40-დან 31 ქულით) ოლიმპიადებში. ეს შედეგები საბოლოო არ არის, მე-3 ტურიც ვინ მელოდება და დიდი იმედი მაქვს, რომ საბოლოო შედეგებს დაიკავებ. ასევე წარმატებით ვმონაწილეობდი აშშ-ს საელჩოს მიერ ორგანიზებულ მართლწერის ეროვნულ კონკურსში ინგლისურ ენაში და ვარ აშშ-ში ერთწლიანი გაცვლითი პროგრამის FLEX-ის ნახევარფინანსისტი. ამ პროექტის პასუხებს მაისში გავიგებ და იმედოვნებ რომ ის დადებითი იქნება. 2014 წლის 10 თებერვალს კი ვიყავი თბილისი მერიტში მიწვეული „მე-ომბუდსმენი 2013“-ის დაჯილდოებაზე, რომელშიც სულ 900 მოსწავლე მონაწილეობდა, მე კი გამარჯვებულ 20-ს შორის მე-4 ადგილზე გავვედი. ეს პროექტი ხორციელდება საქართველოს სახალხო დამცველისა და ევროკავშირის მეშვეობით. სადაც შეგვხვდა თომას ჰამერბერგი - ევროკავშირის მრჩეველი საქართველოში, თამარ სანიკიძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი და უნა ნანუაშვილი - საქართველოს სახალხო დამცველი. მათ მოგვილოცეს გამარჯვება, გადმოგვცეს სერთიფიკატები და სანუქრები და ყველაზე მეტად რაც მახარებს არის თომას ჰამერბერგის სიტყვები: „დაიმასხოვრეთ ეს ბავშვები!“. ახლა რაც შეეხება ჩემს მომავლს: წარმატების სურვილით გამსჭვალულმა მრავალი პროფესია გამოვიცადე: დავიწყე წერა და მრავალ შემოქმედებით კონკურსში მივიღე მონაწილეობა, მასწავლებლობის უნარები გამოვიცადე ჩემს დედასწავლზე (რომელიც ჯერ სკოლაშიც არ იყო შესული როცა უკვე მიმატება გამოკლებას ვასწავლიდი და დიდ დროს მშობლების სამსახურში ვატარებდი, მაგრამ ვხვდებოდი, რომ ეს ის არ იყო, რაც მე მინდოდა... უკვე აღარც იმის მჯეროდა, თუ ოდესმე მივხვდებოდი რა მინდოდა. თუმცა „მე-ომბუდსმენი“ და ბაკსულის საზოგადოებრივი სკოლაში დროის გატარებამ გადამაწვევინა თუ ვინ მინდოდა ვყოფილიყავი, ჩემს გადაწყვეტილებაში კვლავ ფიგურირებს სიტყვა წარმატება, თუმცა ეს აღარაა ის აბსტრაქტული წარმატება, ესაა კონკრეტული, ძალიან რეალური და ისეთი წარმატება, რომლის გავონებისასაც უფროსებს აღარ ეცინებათ: მე მინდა გამოვიღე წარმატებული საერთაშორისო და ადამიანის უფლებათა სამართლის სპეციალისტი. ბუნებრივია, გავინდებთ კითხვა, იქონია თუ არა ჩემს წარმატებისკენ სწრაფვაზე გავლენა ჩემმა ოჯახმა? - რა თქმა უნდა, მინდა ვთქვა რომ ძალიან გამომართლა რადგან პატარაობიდანვე ვიზრდები წინგების გარემოცვაში - ისეთ საზოგადოებაში, სადაც განათლებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. დიდი გავლენა იქონია ჩემი და-ძმის აქტიურობამ, რომლებიც ამ გაზრდის ფურცლებზე არაერთხელ გამოჩნილან. სწორედ მათ დამაინახეს თუ რამდენი შესაძლებლობა არსებობდა და მომცეს მოტივაცია გამეკეთებინა მათზე მეტი - დღეს კი მე ძალიან ამაყი ვარ, რადგან უფრო მეტი ადამიანი მცნობს როგორც ანი ლალიაშვილს, ვიდრე როგორც ხალმეს ან გიორგის

დას. რაც შეეხება იმას რომ მე არ ვაპირებ ვაგვდე ჩემი ოჯახის 4 წევრის მსგავსად ექიმი. სიმართლე ვითხრათ, ამის გამო ზოგიერთი ჩემი მეგობარი ოჯახის ტრადიციის დამრღვევსაც მიწოდებს, რა თქმა უნდა, სუპერობით. ზოგადად, ალბათ, რამდენიმე ფაქტორმა იმოქმედა იმაზე რომ მე ავირჩიე არა მედიცინა, არამედ სამართალმცოდნეობა: 1. რომ - მიყვარს ვიყო განსხვავებული 2. რომ, საკმაოდ ცუდი რეაქცია მაქვს ჭრილობებისა და სისხლის დანახვაზეც კი და 3. რომ, უბრალოდ, სამართალმცოდნეობა უფრო მიზიდავს. რაც შეეხება ახლო მომავალს, ვაპირებ უფრო მეტად ვიქტიურო და მეტად ვასახველო ჩემი ოჯახი, სკოლა, რაიონი და ქვეყანა, მოკლედ, ვაკეთო ის, რაც მე ძალიან მსიამოვნებს.



პარლამენტარის სტიპენდიანტი

ნუგა ბასილაშვილი - საგარეჯოს IV საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე (ნუგას მედია-პროექტ „იტალიონში“ მონაწილეობისთვის საქართველოს პარლამენტის წევრის, საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატის თინათინ ხიდაშელის სტიპენდია აქვს დანიშნული) - ვერ ვიტყვი, რომ ზედმეტი 47 კილოგრამი ვარ, რადგან თავს სულ არ ვგრძნობ ზედმეტად. ძალიან მარტივად რომ ვთქვა, თუ ვინ ვარ მე, დაახლოებით ასეთი პასუხი იქნება: „მე ვარ ნუგა ბასილაშვილი“ და არაფერი ამაზე მეტი... ვარ ადამიანი, რომელიც ჯერ-ჯერობით ერთხელ დაიბადა და იმედი მაქვს დავიბადებ მუორველად, ანუ გავიგებ რისთვის დავიბადე. აბიტურიენტი ვარ და 18 წლის განმავლობაში ყველაზე ღირებული მიზნისკენ მივიწვევ. პარალელურად „ვმოდ-ვაწვიებ“ არასამთავრობო ორგანიზაციაში „ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი-XXI“ და ჩემს მეგობრებთან ერთად ვცდილობ რაღაც შეცვალა საგარეჯოს ერთ-ერთი ცხოვრებაში. ვფიქრობ, განსაკუთრებით რა მიყვარს და ალბათ მუსიკა... იმიტომ, რომ მუსიკა ჩემს ცხოვრებაში ხელმძღვანელს, განწყობის, ემოციის საწყისი. ვინ მიყვარს?! მეგობრები, რა თქმა უნდა! გადაიწვევა სკოლიდან წერას... ესეც აბიტურიენტობის შედეგია, თორემ ბუნდოვნად მასსოფს, ჯერ კიდევ შარშან მიყვარდა წერაც, კითხვაც... ხელა მხოლოდ ლაპარაკი მიყვარს (ეს ლირიკული ჩანართი). მინდა უფრო მეტი იმაზე ვისაუბრო, თუ რას ვსაქმიანობ. საგარეჯო არაა განვითარებული ახალგაზრდული ღონისძიებებით და სიამაყითაც შემოძლია აღვნიშნო, ერთადერთი ახალგაზრდული ორგანიზაცია ვართ საგარეჯოში. სიამოვნებით ვვებ თავისუფალ დროსა და რესურსს ამ საქმეში და სასიამოვნო პროცესს, როდესაც შენს შრომას შედეგი აქვს. როდესაც შეხვედრის ბოლოს მინაწილეობ ამაში: „დემოკრატია, მადლობა რომ ამ ტრენინგზე მოხვდები“. კიდევ ვინ ვარ მე... ჩემი აზრით, ყველა ადამიანი რაღაც უფრო მეტის სიმბოლოა და უფრო მეტი... როგორც პიროვნება, მე ვარ ჩვეულებრივი მოქალაქეკი ბიოგრაფიით და მოქალაქეობრივი შეგნებით. როგორც მეგობარი, იმედი მაქვს, ვარ სანდო ადამიანი ჩემი ცხოვრების ყველაზე ძვირფასი ნაწილისთვის- მეგობრებისთვის. საბოლოოდ, ვინც არ უნდა ვიყო, მე ვარ არაჩვეულებრივი მშობლები, რომელთა დამსახურებაა ის, რომ მე არ ნაბიჯებს ვდგამ ცხოვრებაში! ვთვლი, რომ ჩემი ასაკისთვის არც ისე შეუმჩნეველი და უფრო მეტი ცხოვრება მაქვს და მინდა შევქმნა რაღაც ღირებული... კი, საქმეში ამბიციურიც ვარ! სულ ესაა რისი თქმაც მინდოდა. შეიძლება ცოტა უფრო მეტი ვარ, შესაძლოა უფრო ნაკლები, მაგრამ მაინც, მე ვარ ნუგა ბასილაშვილი! „ტანზე წყალივით გადავივლებ შენს პოეზიას და ამ უღმერთო გამგულელებზე ერთით მეტი ვარ...“



მარხვის მაღლი ბგარავლი!

მ მარხვიან მარხვიან მარხვიან ირხვიან

წელიწადში დაწესებულია 4 ხანგრძლივი მარხვა, რომელიც წინ უძღვის ოთხ დიდ დღესასწაულს.

ა) დიდი წმინდა მარხვა – ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის წინ;

ბ) საშობაო მარხვა – ქრისტეს შობის წინ;

გ) მარიაშობის მარხვა – ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების წინ;

დ) პეტრე-პავლობის მარხვა – მოციქულთა თავთა – წმინდა პეტრესა და წმინდა პავლეს დღესასწაულის წინ.

დიდი წმინდა მარხვა ამათგან ყველაზე ხანგრძლივი და საპასუხისმგებლოა. იგი აღდგომის წინ 49 დღით ადრე იწყება და აღდგომის დღესასწაულამდე გრძელდება.

მარხვა ღვაწლია, რომელიც სურვილთა დათმენითა და ვნებებზე გამარჯვებით აღესრულება. პირველი ნაბიჯი კი სხეულის მოუღვრებაა – ხორცზე გამარჯვება და სულიერი ზეიმი.

აღდგომის დღესასწაულის მოსამზადებელი პერიოდის სრულად მოცივებს დიდ მარხვას, რომლის დადგომისას მოწოდებულია უწესურვებო ერთმანეთს: „მარხვა სინანულისა და აღდგომა სიხარულისა!“ აღდგომის დღესასწაულის განცდა მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი სულიერი განწყობით, მარხვით, ღოცვითა და სინანულით გაატარებს ქრისტიანი დიდ მარხვას...

– „ხოლო ესე ნათესავი არარაით განვაღვს, გარნა ღოცვითა და მარხვითა“ (მათე 17:21), –

ბრძანებს უფალი. „ნათესავი ესე“ – უკეთური სულიერი არიან, რომელნიც გავლენას ახდენენ ადამიანის აზროვნებაზე, ყურადღებაზე, მეხსიერებაზე, ნებისყოფაზე, საზოგადოდ ფიქსიკაზე. ბოროტ ძალასთან დაპირისპირებისა და ფიქილოლოგიური პრობლემების გადაჭრისათვის კი, სხვა ღვთისმსახურებით წესებთან ერთად, აუცილებელია მარხვაც. აი, რას ამბობს ამის შესახებ წმინდა იოანე ოქროპირი: „მარხვა დიდად განამტკიცებს კაცს, აქცევს ანგელოზად და განამტკიცებს უკეთური ძალების წინააღმდეგ... ამიტომ იყო, რომ მოციქულები თითქმის მუდამ მარხულობდნენ. ვინც ღოცულობს და მარხულობს, მას ორი ფრთა აქვს, ქარზე უფრო მსუბუქი“.

სამწუხაროდ ფიქილოლოგთა (საზოგადოდ მეცნიერთა) უმრავლესობა არ ცნობს ბოროტი ძალების არსებობას და ამ ძალის განდევნის, მისი ძალების გაფრთხილების თვალსაზრისით მარხვის მნიშვნელობას, სათანადოდ ვერ აფასებს.

არის რამდენიმე კითხვაიც:

– **რა მნიშვნელობა აქვს სულიერ-ფიქილოლოგიური თვალსაზრისით მარხვას?**

– ადამიანი ღვთისმსახურების წესს იმისთვის არ ასრულებს, რომ ამას უფალი მოითხოვს მარხვა, ღოცვა, მოწოდების გაღება, სიკეთის ქმნა თუთონ ჩვენ გვეტრდება პიროვნული, სულიერი ზრდისა და სრულყოფისათვის. მარხვაც სწორედ ამას ემსახურება. მისი ერთ-ერთი

მიზანი ნებისყოფის განმტკიცებაა, თავისუფალი ნების გაძლიერება სასიკეთო მიმართულებით. ადამიანს, სხვა ცოცხალ არსებათაგან, ნებისყოფა, თავისუფალი ნება განასხვავებს; იგი არ არის თავისი ინსტიტუტების, იმპულსების მონა. მას ძალუძს შეეწინააღმდეგოს თავის სურვილებსა და მოთხოვნებებს; აიძულოს თავი, აკეთოს არა ის, რაც სურს, არამედ ის, რაც მიზანშეწონილია. მარხვა, ერთი მხრივ, თავადვე ნებისყოფის დაძაბვის შედეგია, მეორე მხრივ, თავშეკავების უნარის, ნებისყოფის გამომუშავების უწყობის ხელს, რაც შემდგომში სხვა სიროულეთა და განსაცდელთა დაძლევაში გვეხმარება.

– **მართლმადიდებლო სწავლებით, ორი სახის მარხვა არსებობს: ფიზიკური და სულიერი. რას გულისხმობს სულიერი მარხვა?**

– სულიერი მარხვა გულისხმობს თავის შეკავებას სანახაობათაგან, ფუჭი, არაგულწრფელი საუბრისაგან, ყოველივე იმისგან, რაც ადამიანის მგრძობილობას ალაგზნებს და გონებას ფანტავს. იდეალურ შემთხვევაში მარხვა განმარტობასა და მღუმარებას, საკუთარ ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ჩაფიქრებას გულისხმობს. მარხვის დაცვა დიდი ხელოვნებაა და ადამიანი თანდათანობით სწავლობს მას.

მარხვა საკუთარი თავის კონტროლია როგორც ფიზიკური, უკეთური ფიქრებისა და ვნებების დათრგუნვის თვალსაზრისით. სულიერ მარხვას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ფიზიკურს, მაგრამ ის იოლად არ გვეძლევა; სუ-

მართლმადიდებლობა

ღიერი მარხვა რომ შევძლოთ, საჭიროა დრო და საკუთარ თავზე მუშაობა.

– **არიან ადამიანები, რომლებიც მარხულობენ, მაგრამ აღსარებას არ ამბობენ, არ ეზიარებიან, წირვა-ლოცვას არ ესწრებიან და, საზოგადოდ, ეკლესიურად არ ცხოვრობენ. ზოგიერთი მოძღვარი მიიჩნევს, რომ ასეთი მარხვა გაუმართლებელია.**

– ასეთი მიდგომა მეტისმეტად მკაცრია. ზოგჯერ მარხვის დაწვევა, თუნდაც მღვდლის კურთხევის გარეშე, არის ქვეცნობითი მომზადება შემდგომი ეკლესიური ცხოვრებისათვის. სწორედ უფალი ნელ-ნელა გვაჩვენებს ღვთისმსახურებითი წესის შესრულებას.

– **დიდ ქრისტიანულ დღესასწაულებს წინ ყოველთვის მარხვა უძღვის. რა სულიერი დატვირთვა აქვს ამ შემთხვევაში?**

– ქრისტიანული დღესასწაულების მადლიანობა და სიდიადე რომ შევიგრძნოთ, მარხვის დაცვა აუცილებელია. ზოგიერთს აქვს სწრაფვა ეკლესიისკენ, მაგრამ ქრისტიანული ცხოვრების წესს სამწუხაროდ არ იცავს. ასეთი სინანულით ამბობს, რომ შობისა და აღდგომის დღესასწაულზე ისეთი სიხარულს ვერ გრძობს, როგორც ის მოწოდებულია, რომლებიც მარხულობენ.

ქურნალი „კარიბჭე“

დასასრული. დასაწყისი იხ. „ვარჯიშის მაცნე“ №2-ში

რასაკვირველია რუსეთის თვითმპყრობელობა უწყურადღებოდ ვერ დატოვებდა სახელმწიფო გადატრიალების მზადების გამოვლინებას. ადგილობრივ მოხელეებს იმპერიული წყობისათვის განსაკუთრებით სახიფათოდ მოსახლეობის დარღვევები და მათი მუდმივი სამხედრო მხედრობა მიანდნათ. „მოუხედავად იმისა, რომ ეს აჯანყება ტაქტიკურად უკეთესი წინააღმდეგ იყო მიმართული, არ მოსწონდა, და ამიტომ ომის მისტიფიკაცია აკრძალა. ამის შემდეგ ყვეენობა უბრალო პროცესებისა და ცეცხვა-თამაშის ხასიათი მიეცა.“ სალდასტის კრივი აიკრძალა, როგორც მოქალაქეთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის სახიფათო, „აბრძროსული“ ჩვეულება. მოქალაქეთა ჯანმრთელობაზე ზრუნვის საბაზისი კრივი განსაკუთრებული გულმოდგინებით, რელიგიური დღესასწაულების დროს იღვევებოდა... აიყვრია სწერა: „კვირაცხოველმა ჩვეულებრივ ჩაიარა, ხალხი მეტად ბევრი დაესწრო, მხოლოდ კრივი აკლდა, რომელიც ყოველ კვირაცხოველობას ყოფილა ხოლმე. თუმცა ბევრი მოგროვდნენ განიშქული მოკრივენი, მაგრამ ყახხები დადიოდნენ და მათრახებითა აჟანტავდნენ კრივისათვის შეჯგუფებულ ხალხს“. (ივერია, 1886 წ., №46).

სალდასტის კრივი ჯერ მთავარმართებელ ერმოლოვისა და მერე ბარიატინსკის დროს საშუალოდ აიკრძალა. ნებადართული დარჩა მხოლოდ და მხოლოდ ჩვეულებრივი მუშტის კრივის გამართვა, ოღონდ ქალაქარეთ და ისიც პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. ამ მიზნისათვის მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი იქნა მამის ქალაქის გარეუბნებში მდებარე ადგილები „ხარაფხანისა“ და „ბაყალხანის“ ახლოს – მეტეხის ციხის ქვემო ნაწილში და ჩუღურეთში, ე.წ. „ჰორიანი ხევთან“. მიუხედავად ასეთი შეზღუდვისა, კრივი დიდი ხნის განმავლობაში მაინც ინარჩუნებდა მოქალაქის ფიზიკური და სულიერი აღზრდის ძირითადი საშუალების როლს, თუმცა ნელ-ნელა მან დაკარგა საწეს-სარიტუალო მნიშვნელობა და მხოლოდ უბრალო გასართობისა და ფიზიკური ვარჯიშის სახითა შემოგვრნა.

მუშტი-კრივი, როგორც ფიზიკური ვარჯიში, ძველი ყარაილელის ერთფეროვანი ცხოვრების გასახალისებლად საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა. ქალაქური კრივისათვის დამახასიათებელი განუმეორებელი კოლორიტი და მოსაპარკეთა ზნე-ჩვეულებები ზედმიწევნითი სიხუსტით აქვს აღწერილი ძველი თბილისის მესობტგის იოსებ გრიშაშვილს:

„მრავალ ჯანსაღ გასართობათა საშუალებით – წერს იგი – მაგ., კრივით, ართურმით, მიჭკამალაყით, შურდულით, განჯაფით, ბურთობით, წრე-ლახტით და სხვა ამგვარ ფიზიკურ ვარჯიშობით ძველი თბილისის სხეული იწრთობდა, იქნებოდა და ფოლადდებოდა. მაგრამ ამათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი მანაც მუშტი-კრივი იყო.“

ჩვენი მუშტი-კრივი ოღონდ წააგავს ინგლისელთა ბოქსს. თბილისელებიც ორივე ხელით იბრძოდნენ: დოვადოვა მიდიოდნენ ერთმანეთზე – ჯერ ერთი მოკრივე შემოჰკრავდა ერთის ხელით მუშტს, ხოლო თუ მოპირდაპირე ისეთი სუსტი აღმოჩნდებოდა, რომ ამ ერთ მოქნეულ მუშტით წაპარბაცდებოდა, მაშინ მეორე მხრიდან მეორე მუშტს მარტყამდა მისაშველებლად, რომ ზეზე დაშვარაყო, სწორად; მერე დაიჭერდა ორივე ხელით, – შეჯანჯკარება, შეასწორებდა და კვლავ იწყებოდა ახალი გამოცდა ბრძოლისა.

რასაკვირველია კრივისაც ჰქონდა თავისი წესები. ზოგჯერ, თუ მოპირდაპირე შეატყობდა თავის თავს, რომ მარცხდებოდა, მაშინ ის, გაბრაზებული, არასასიამოვნო საშუალებას მიმართავდა:

მარხვის მაღლი ბგარავლი!

ქართული კრივის ისტორია

ქვეშიდან თავს აკრავდა – დაარტყიანებდა, რომ ამასობაში დაეჯახნა და გაემარჯვა. ანდა გაიკეთებდნენ „საცერულს“ (ცერზე ჩამოსაცემელ თითბრის ან თუჯის რგოლს) და ეს თოქმა ბუკტიდ პიდაპირ ძელებს ეტანებოდა ხოლმე დასამხებრეუ-დასალეულად. მაგრამ ყველა ეს საშუალება, როგორც არაკანონიერი, დაგობილი იყო მაკარაკიან კრივში და ასეთი მოკრივე სასტიკადაც ისჯებოდა, ამხანაგთა შორის, როგორც ჯაბანი და ნამარდი. ზოგიერთ მოკრივეს საშინელი მაგარი ცაცია ჰქონდა, ვისაც შემოჰკრავდა – მორნა ცოცხალი ვეღარ ადგებოდა. აი ამისთანა მოკრივეს სიტყვა ჰქონდა მიცემული, ან, როგორც ამბობენ, „ახელი ჰქონდა მოწერილი“, რომ იგი აღარ იკრივებდა... მაგრამ, როგორც ყოველგვარ დადგინდება, რასაკვირველია, ამასაც გვერდს უხევდნენ, „ხელისმოწერა“ – ხელისმოწერად რჩებოდა და ამ მუშტის კრივის მოქვეყნება ხოლმე თავისი მსხვერპლი, თუმცა არა იმდენი, რამდენიც სალდასტის კრივის.

ზოგიერთი ძველი ყარაილელი, თავისი სიყოფილის გამოსახელებად, მუშტით არც კი კადრულობდა კრივს, – პერიოდულად ჩოხის კალთით! ერთი მოკრივე თუ მუშტით იბრძოდა, მეორე ხელში აკრებდა ჩოხის ცალ კალთას და ისე იკრივებდა მოპირდაპირე. ეს კია, რომ ასეთი კრივი უფრო დროს გასატარებელი იყო: საიშვილბაზო და სამაზალი.

არსებობდა აგრეთვე კრივი ცალის ხელით! მხოლოდ ამას უფრო შეჯიბრების ხასიათი ჰქონდა. მაგალითად, თუ ორ თბილელთა შორის მოხდებოდა რაიმე უსიამოვნება, როგორც ამ შემთხვევაში ვეროპოლეთისათვის არსებობდა „აღუღი“, ისე ჩვენებურ ყარაილელისათვისაც იყო ამგვარი საშუალება შეურაცხყოფის ასანახ-დაურებლად, – რომელსაც „ხრიდოლი“ ეწოდებოდა (კრივი ცალი ხელით). ამ წაკიდება-ჩხუბის დროს, ხელთათმანის გადაგდების ნაცვლად – ყარაილელი თუთონ გახტებოდა განხედ და მიუზრუნდებოდა თავის რაიფს: „მე ერთი ხელით, შენ კი ორი ხელით!“ და მართლაც, ერთ ხელს (უფრო მარჯვენას) ჩაიყოფდა ქამარში და მეორე ხელს კი (ცაცისას) კუმშავდა საბრძოლველად.

„ხრიდოლი“ კრივი თავისი არსით წარმოადგენდა „მუშტი-კრივის“ ერთგვარ აღტრანტავას. მუშტი-კრივი ყოველგვარი ცრუმობისა და მოქნეული მუშტისათვის თავისი არიდება საძირახის საქმედ ითვლებოდა. გამარჯვება მოკრივი ფიზიკურ ძალასა და გამძლეობაზე იყო დამოკიდებული. ცალი ხელით კრივის დროს კი, მით უმეტეს თუ მოწინააღმდეგე ორივე ხელით იბრძვის, ფიზიკურ ძალაზე აქცენტის გაკეთება სრულიად უიმედო საქმეა. ამიტომ „ხრიდოლი“ წარმატების მიღწევა მებრძოლისაგან დიდ მოქნელობასა და სისხარტეს მოითხოვდა. თუ მუშტი-კრივში მოწინააღმდეგეები ერთმანეთზე ჯიჭურ მიიჭვენდნენ და „ცხვრის თავის“ ოდნავ მუშტებით ერთმანეთს რიგრიგობით უმასპინძლდებოდნენ, ხრიდოლიში გამომწვევი მოხერხებისა და საბრძოლო ოსტატობის ხარჯზე იცავდა საკუთარ ღირსებას.

ქართული კრივის ტექნიკური არსენალი მეტად მრავალფეროვანია. დარტყმები სრულდება ოთხივე კიდურითა და თავით, თუმცა ქალაქელი უპირატესობას მაინც მუშტით ბრძობას ანიჭებს. „კრივი ჩვენებური, თბილისური ჩვეულებაა. – ამბობს იოსებ გრიშაშვილი – საგულისხმოა, რომ სხვა ერს (ინგლისური ბოქსის გამოკლებით) მუშტი არ უყვარს, მაგ., რუსს სილა უფრო ემარჯვება. ყარაილელსაც უყვარს სილა, მაგრამ

განსაკუთრებულ შემთხვევებში, მაგ., ამქრის დღესასწაულზე, ისე კი ყარაილელი ჭკუის სასწავლებლად მხოლოდ ბრმა სილას ხმარობს (სილა ხელის ზურგის გარტყმით).“ კრივის დროს კი ნამდვილი „მუშტის ქუხილი“ განაღებოდა ხოლმე. ლექსიც არის:

დარტყმებთან ერთად, ახლო ბრძოლის დროს, მოკრივეები ჭიდაობასაც მიჰყოფდნენ ხოლმე ხელს. ხალხის საყვარელი მოკრივე-ფალანგები თანაბრად ფლობდნენ როგორც ჭიდაობის ფანდებსა და იღვთებს, ასევე მუშტითა და სხვადასხვა იარაღით ბრძოლის საიდუმლოებას. თბილისისა და სხვა დიდი ქალაქის მცხოვრებანი ყოველ კვირა დღეს, წირვის შემდგომ გამართულ მუშტი-კრივისა და საჭიდაო წრეში სცდიდნენ ერთმანეთის სიმარჯვესა და სინაუქსს და ხეყდნენ საბრძოლო ოსტატობას. საუკუნეთა განმავლობაში ხალხური სიტყვიერების ზღაში ნამოყალიბდა ხელითა თუ ფეხით დარტყმების მექანიკური ქართული დასახელებები, რაც უძველესი დროიდან საქართველოში კრივის დიდ პოპულარობაზე მეტყველებს. დარტყმებისა და შეტევების დასახელებებს, რომლებიც აღდგენილი ვგაქვს სულხან-საბას ლექსიკონისა და ყინთოგრაფიული კვლევის შედეგების მიხედვით, თვალახოვნი ქვემოთ: „მუშტი ყოვლდობს ჩა ხელთა თითინ შეიკუმშო მაგრიად და უკეთუ კაცსა სცეცურის კერძო მუჭთა, ეწოდების მუშტი და არღარა მუჭი; უკეთუ წერის მზარე დაკურს, ეწოდების მუჭი; უკეთუ ცერი თითებთა ქვეშე დაიპყრა და მერე მომუშულნი შემოჰკრნენ, ეწოდების ბლიკვი; უკეთუ თითებთა გოჯის კერძო წაკარა ეწოდების ქიშტი, რომელ არს ქურჯვა; უკეთუ იდაყვითა უკულმა უკუჰკრა, მუჯღუგანი ეწოდების. ხურთი არს მჯილი შეკონილი, რომელ არს ქურჯვა; ხურთით ცემა არს მჯილი მიმოქცევითა თითთათა ძლიერად ტკივნებად შემძლებელი, რომელსა მხოლოდნი ბლიკვა უწოდებ. ხელით დარტყმებს განეკუთვნება ასევე სილა, ბ ისტორია უნდა გავიხსენოთ, რომელიც ნ. ბერძენიშვილს აქვს გამოქვეყნებული თავის მოკრივეებში. XIX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში თბილისის ერთ-ერთ სასტუმროში (დღევანდელი „თბილისი მართიტი“) განლაგებული იყო საქართველოს მოკამშირე ბრეტანეთის საზღვაო ძალების შორტლანდიელთა პოლიცია. ერთ დღეს უსაქმობით შეწუხებულმა შორტლანდიელმა, აღკომლის საგარდინო დოზის მიღების შემდეგ, ასეთი გასართობი მოეოვნეს. სასტუმროს წინ, რუსთაველის გამზირზე დადგნენ და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გამძლევი გამომძლევის თითო დარტყმით „დანოკუტებაში“. რაც მთავარია ისინი არც მანდილოსნებს ერიდებოდნენ და მამაკაცთა დარად მუშტით უმასპინძლდებოდნენ. გარკვეული ხნის ვარჯიშობის შემდეგ მუშტეული მოქალაქეების ჩივილმა თბილისელი „დამრტყმელების“ ყურამდეც მიადგა და შედახლავდა ღირსების დამცველთა ჯგუფიც დაირახმა. ხუთი ფალანგი, ვერელი „კურკას“ მეთაურობით რუსთაველისკენ გაემართა, თანაც ერთმანეთს გააფრთხილეს, რომ მუშტი არ ეხმარათ, რაც არ უნდა იყოს „ჩვენი ქვეყნის ტყუილები და მოკამშირეები არიან“. ბევრი რომ არ გაავარტყელით ექვსმა ვერელმა „ჟონმა“ ოცდახუთი შორტლანდიელი მუშტეული მხოლოდ თავური დარტყმების გამოყენებით ისე სცემდა, რომ ორი მათგანი გარდაიცვალა, დანარჩენები კი უკლებლივ დახარეთში მოხედნენ. საჩივარში, რომელიც შემდგომ გაღაზულმა შორტლანდიელმა მთავარ პოლიცისტიკოსს მიართვეს, ასეთი ფრაზა იყო: „მათ ჩვენს წინააღმდეგ არაჯენდლ-



მენური იღვთები იხმარეს, თავები და იდაყვები გამოიყენეს.

ქალაქური კრივის ტრადიცია ფრანგენტილი გადმონაშთის სახით XX საუკუნის 60-70-იან წლებამდე შემორჩა და მას წინასწარ დათქმული გუნდური შეტაკებების ფორმა ჰქონდა, რომელიც წინასწარი მოლაპარაკების საფუძველზე იმართებოდა „ნადიკურის“ ტერმინითა (ქ. თელავის პარკი). ერთმანეთს უპირისპირდებოდა „ხემო“ და „ქვემო“ უბანი, ანუ ღვთაების ტაძრის გარშემო არსებული დასახლება და რომელიმე საცხოვრებელი კვარტალი. ასეთი დაპირისპირების მიზეზი არასოდეს გამხდარა რაიმე კერძო შემთხვევა. ბრძოლა ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ შეჯიბრის სახე ჰქონდა და ძლიერი უბნის გამოსაჯენად ეწყობოდა. როგორც ჩანს, ძველი წესების გავლენით ჩხუბს ყოველთვის აწვევდნენ 8-10 წლის ბიჭებს და მხოლოდ შემდეგ ჩაებმებოდნენ ხოლმე ბრძოლაში მოზრდილები. თუმცა არ ახსოვთ შემთხვევა, რომ ბრძოლაში მონაწილეობა 18 წელზე უფროსი ასაკის ახალგაზრდებს მიეღო.

ცხადია, რომ ძველი დროის ქალაქურ კრივობათა ტრადიციების სრულ დაცვაზე ლაპარაკი ამ შემთხვევაში სრულიად ზედმეტია. მაღლოდ იმაზეც ვგუთქმის, რომ ჩვენამდე კრივის საშეჯიბრო ნაწილს მაინც მოუღწევია მეტ-ნაკლები სისრულით.

როგორც ვნახეთ საქართველოში გავრცელებული მუშტით ბრძოლა ანუ კრივი მრავალგვარი იყო: მუშტის-კრივი, „ხრიდოლი“ (კრივი ცალი ხელით), კრივი ჩოხის კალთა-კეცილი, სალდასტის კრივი. თუმცა ამავე დროს კრივი შურდულით კრის ტყორცნას, უფრო ზუსტად შურდულით ბრძოლასა და ხის ხმლით ბრძოლასაც ეტყვა. ჩანს, რომ ქართულ ენაში „კრივი“ საერთოდ დაპირისპირების აღმნიშვნელი სიტყვაა. ეს ტერმინი სომხურ ენაშიც გვხვდება, ოღონდ იგი აქ მხოლოდ კამათის მნიშვნელობას ატარებს და ფიზიკურ ბრძოლასთან კავშირი არა აქვს.

როდესაც ჩვენებური კრივის შესახებ ვსაუბრობთ, ითვლებული ვხდებით სიტყვა „კრივის“ წინ ყოველთვის წაუვმდგაროთ ეპითეტი „ქართული“. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ დღეს კრივი ასოცირდება ინგლისურ ბოქსთან. ამ უკანასკნელის საქართველოში გავრცელების მომენტისთვის კრივის ტრადიციები, წარსულში მრავალმხრივი შევიწროების გამო, ძირითადად უკვე მივიწყებული გახლდათ. ბოქსის დიდმა მსგავსებამ მუშტი-კრივთან განაპირობა ადგილობრივი სახეობის ახალი სახეობით უმტკივნეულოდ ჩანაცვლება. საბოლოოდ კი „კრივი“ ინგლისური ბოქსის აღმნიშვნელ ტერმინად დამკვიდრდა. დღეს, ქართული საბრძოლო ხელოვნების აღორძინების პირობებში, ალბათ მიზანშეწონილი იქნება „ქართული“ კრივის დაკვირვებითი ბოქსის აღმნიშვნელ ტერმინად დამკვიდრება. დღეს, ქართული საბრძოლო ხელოვნების აღორძინების პირობებში, ალბათ მიზანშეწონილი იქნება „ქართული“ კრივის დაკვირვებითი ბოქსის აღმნიშვნელ ტერმინად დამკვიდრება. დღეს, ქართული საბრძოლო ხელოვნების აღორძინების პირობებში, ალბათ მიზანშეწონილი იქნება „ქართული“ კრივის დაკვირვებითი ბოქსის აღმნიშვნელ ტერმინად დამკვიდრება. დღეს, ქართული საბრძოლო ხელოვნების აღორძინების პირობებში, ალბათ მიზანშეწონილი იქნება „ქართული“ კრივის დაკვირვებითი ბოქსის აღმნიშვნელ ტერმინად დამკვიდრება.

ბიორბი კოკოშაშვილი, ქურნალი „სვეტიცხოველი“

მადლობა

მადლობას ვუხდით საქართველოს პარლამენტის წევრს, საგარეჯოს მაჟორიტარ დეპუტატს ქ-ნ **თინათინ ხიდაშელს** ჩემი გვერდში დგომისა და დახმარებისათვის, იმ სიტუაციაში და სიკეთით...

სათვის, რომელიც მან ჩემს მიმართ გამოიხილა. ქალბატონო თინა, გილოცავთ დედის დღეს, ქალთა საერთაშორისო დღეს და გისურვებთ ყოველივე კარგსა და ღამაზს თქვენს მშვენიერ ოჯახთან ერთად. გვარაუდეთ უფალი!

ლილი ლუხიძე
სოფ მანავი

ახალი წიგნი

გიგნოპლემ ჩვენი სოფლის ისტორიას

პატარაძეული

გამოვიდა წიგნი „პატარაძეული – ისტორია და თანამედროვეობა“.



რომლის ავტორიც თავად სოფელ პატარაძეულშია დაბადებული და გაზრდილი – ალექსანდრე ელერაშვილი. ბატონი ალექსანდრე რამდენიმე წიგნისა და ასეულობით სამეცნიერო-ლიტერატურული გამოკვლევების ავტორია, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტია სამეცნიერო-კვლევით და ჟურნალისტურ-ლიტერატურულ მუშაობას ეწევა. იგი საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ჟურნალისტი, მწერალი და მწიგნობარია, რომელიც უზომოდ შეფასებული საქართველოზე და მთელი თავისი ცხოვრების ათეულობით წელი სწორედ საქართველოს ავადმთი თუ მზიანი პერიოდის შესწავლას მიუძღვნა. არ არსებობს საგარეჯოს რაიონის ტერიტორიაზე ადგილი, ნაგებობა, ნაფუძარი, მისი ისტორია, რომ არ იცოდეს. იგი ცოცხალი მატანა საგარეჯოს თითოეული სოფლის, იქ მცხოვრები გვარების, სოფლის კოლორიტების წარმომავლობაზე. მისი ხელშეწავლებით და დამხმარებით გავრცელდა ციხის თითოეული ქვა. სად არ მოუვლია, სამზეზე გამოუტანია ნაფუძარები და ნამარხნალები, ნაკალოვარი თუ ნაწიქვილარი. სკოლის ასაკიდანვე დადიოდა და სწორედ ტყეებში დაეძებდა იმ სალოცავებისა თუ ეკლესიების ნაფუძრებს, რომლებიც შაჰ-აბასის თუ ალა-მაჰმად ხანის დროს ურჯულთა მიწისაგან პირისა ალგავს ეცადნენ...

მისი არქივი, საკუთარი ხელით ნალოლიაგები უამრავ, ხდება მასალას მოიცავს საგარეჯოელებისა თუ თითოეული სოფლის მცხოვრებლებზე. უფლის, ესათუთება, უფროსი-დედა, დიდი სურვილი აქვს მომავალ თაობას დაუტოვოს ნიშნად და გაფრთხილებად იმისა, თუ როგორები იყვნენ ჩვენი წინაპრები, როგორები ვართ ჩვენ, ჩვენი რაიონის მცხოვრებლები. წიგნი, რომელიც ავტორმა ტრავიკულად დაღუპული შვილის – გიორგის ხსოვნას მიუძღვნა ბატონმა ალექსანდრემ. არაფერია, თუ არა მოფერება, მოსიყვარულება თავისი მშობლიური ხალხის, თავისი სოფლის, იმ თანასოფლელების, რომლებმაც თავიანთი ცხოვრებით ნათელი კვალ დაამჩნიეს სოფლის ყოველდღიურობას. აქ საინტერესო იკითხება სოფლის სახელწოდების ეტიმოლოგია, ტოპონიმები, შაჰ-აბასის სისხლიანი ნაფხურები, წითელი არმიის სოფელში შემოსვლის ეპიზოდები, 1812 წლის აჯანყების სიმძიმე, მიწის მოხენის, დათესვისა თუ პურეულის ალების სურათები, პატარაძეულის გმირები, გოგლა ლეონიდის ცხოვრების ეპიზოდები, მსახიობები თუ სახელგანთქანი მხედართმთავრის გიორგი ჭინჭარაძის ბიოგრაფიული ცნობები. წიგნის ავტორი ვრცლად მოგვითხრობს სახლგაო ფლორის სახელგანთქანი კაპიტნის გიორგი (გელა) უნაფტოშვილის ცხოვრებას.

წიგნის ავტორი მადლიერებას გამოთქვამს **საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ილია ზიარაშვილის** მიმართ, რომელიც ერთგულად ამოუდგა მხარში ავტორს და იზრუნა წიგნის ტექნიკური მხარის უზრუნველყოფად. წიგნის ტირაჟი სულ 300-ია, მერწმუნეთ, მასში შესული ისტორიული საარქივო მასალა, ისტორიული საბუთები, სამეცნიერო ლიტერატურა, ფოტოკოლორული მასალები, ლეგენდები მართლაც ფასდაუდებელია ჩვენი რაიონის ერთ-ერთი უღამაზესი სოფლის – პატარაძეულის წარსულისა და თანამედროვეობის გასაცნობად.

სპორტი

სამბისტები ესპანეთში გაემგზავრებიან



14-15-16 თებერვალს თბილისში გამართულ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ საქართველოს პირველობაში საგარეჯოელი მწვრთნელის მამუკა მათიაშვილის სამბისტებიც იღებდნენ მონაწილეობას. ჩემპიონატში მონაწილეობდნენ 1996-1997 წლებში და 1994-1995 წლებში დაბადებული სამბისტები. ჩემპიონატში ჭაბუკებს შორის პირველი ადგილი დაიკავა ირაკლი კუპატაძემ (52 კგ წონითი კატეგორია) და კობა მჭედლიშვილმა (75 კგ). მეორე ადგილი წილად ხვდა ოთარ კაციაშვილს (70 კგ). რაც შეეხება

ახალგაზრდებს შორის, აქ ორი მეორე ადგილი მოიპოვეს საგარეჯოელმა სამბისტებმა: სოლომონ თედიაშვილმა (57 კგ წონითი კატეგორია) და ზაურ მამარდაშვილმა (90 კგ), ხოლო მესამე ადგილზე ზაზა როსტომაშვილი (62 კგ) გავიდა. სასიხარულოა, რომ აპრილის ესპანეთის ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს სამბისტთა ღირსებას საგარეჯოელები ირაკლი კუპატაძე, კობა მჭედლიშვილი და ზაურ მამარდაშვილი დაიცავენ. წარმატებები, ბიჭებო!

საგარეჯოს სპორტგაერთიანების თანამშრომლები სამიძარს უცხადებენ ჭიდაობის სექციის მწვრთნელს კობა საგინაშვილს დედის **მარტო გურაშვილი-საბინაშვილის** გარდაცვალების გამო.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა თანაგრძნობას უცხადებს ამავე გამგეობის მთავარ სპეციალისტს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის საკითხებში რომან სურმანიძეს **მამის** გარდაცვალების გამო.


გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ანა ჩალათაშვილს და გიორგოშვილს დედისა და სიდედრის **მამი ჩალათაშვილის** გარდაცვალების გამო.

კაბაბეთის საშუალო სკოლის 1984 წლის კურსდამთავრებულები სამიძარს უცხადებენ თინიკო ვეშაიძეს **მამის** **ბიძინა გუგუაძის** გარდაცვალების გამო.

გივი დაბახიშვილი ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს გია, ანა, დალი ჩალათაშვილებსა და გიორგოშვილს დედისა და სიდედრის **მამი სიამონიძე-ჩალათაშვილის** გარდაცვალების გამო.

ხსოვნა დათო კვიციანი

ჩემო უსახლდრო სევდავ, ჩემო დათო. 21 მწვრთნელი ვიყავი და. 1993 წელს მეხვიით გავარდა ჩვენს სანათესაოში შენი ტრაგიკული დაღუპვის ამბავი. ვერ შევგავიწყვდი, ამ გაუსაძლის ტკივილსა და მწუხარებას, რასაც უშენობა და შენი მონატრება ჰქვია. ყოველი დღე შენზე ფიქრით და ცრემლით იწყება და მთავრდება. ოჰ, როგორ იტანჯება შენი საყვარელი დედა, მტკივნეული და მტანჯველია უშენობა. შეილო დათო, შენ ხომ უზომოდ კეთილი, მოსიყვარულე, თბილი და ალღვი იყავი, ჩემო ტკივილო, ძალიან მენატრები. შენს მონატრებას ვერავინ გაანუგებს. ვერაფრით ივსება უშენობით გამოწვეული სიცარიელე. ყველაფერი ჩაკედა ჩემს გულში. შენთან შეხვედრის მოლოდინი-დაა ჩემში. დაველოდები, რომ უფაღმა მადირსოს შენი ნახვა. დემეტრე ნათელაშვილი გამყოფო შენ და მამაშენი, ჩემო მარადიულო ტკივილო. 26 თებერვალს შენი დაბადების დღეზე ყველა მოვალთ, შეილო, შენს საფლავთან. ცრემლით, ყვავილებით, ყველა ერთად შევთხოვთ უფალს, რომ სიმშვიდე დაუშვიდოს მამაშენის და შენს სულს სამარადისო სასუფეველში. **შენი ტანჯული დედა**



„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“ რედაქტორი: **თინათინ ილაური** რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15, გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“. ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 599 851 143 ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru